სამართალდამცავ ორგანოთა საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები შეერთებულ შტატებში

ავტორები: ბარბარა ატარდი და ქეთრინ ოლსონი
თარგმანი: ნინო მერებაშვილი-ფიშერ

სტატიის თარგმანი მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) მხარდაჭერით. თარგმანში სრულად არის შენარჩუნებული სტატიის შინაარსი და ავტორის სტილი. თარგმანზე პასუხისმგებელია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)“ და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).“ თარგმანის შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

I. **შესავალი**[1]

სამართალდამცავ საქმიანობაზე საზოგადოებრივი ზედამხედველობა სახელმწიფოთა ახალ, განვითარებად ფუნქციას წარმოადგენს. მისი მიზანია უზრუნველყოს საპოლიციო საქმიანობის მონიტორინგი და პოლიციის არასათანადო ქმედებების შესახებ საჩივართა განხილვის მექანიზმების არსებობა. ის ასევე მიზნად ისახავს შესაბამისი უწყებების საპოლიციო და გადამზადების სისტემათა შესწავლას და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას. საზოგადოებრივი ზედამხედველობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამართალდამცავ ორგანოთა უფლებამოსილებაში შემავალი მრავალი საკითხის შემოწმებისა და ამ გზით ისეთი საპოლიციო საქმიანობის დაფუძნებისთვის, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ღირებულებებს, საჭიროებებსა და არსებულ სტანდარტებს.[2]

საპოლიციო საქმიანობის განხორციელება შეერთებულ შტატებში ძირითადად ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და რეგიონული ერთეულების უფლებამოსილებას წარმოადგენს. თავად რეგულაციები კი, რომელთა აღსრულებასაც ის ემსახურება, შესაძლებელია მომდინარეობდეს ადგილობრივი, მუნიციპალური ან სახელმწიფო კანონმდებლობიდან. ცალკეული შტატების მთავრობები საპოლიციო საქმიანობისას აქცენტს აკეთებენ საავტომობილო გზებზე, ამასთან მათ ეკისრებათ მსჯავრდებულთა შესაბამის დაწესებულებებში განთავსების ძირითადი პასუხისმგებლობა. შეერთებული შტატების ხელისუფლებას ასევე გააჩნია რამდენიმე სამართალდამცავი ორგანო ფედერალური იურისდიქციით, ასეთებია გამოძიების ფედერალური ბიურო (Federal Bureau of Investigation), აშშ-ს სასაზღვრო პატრული (U.S. Border Patrol) და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაცია (Drug Enforcement Administration). ფედერალური მთავრობა ასევე პასუხიმგებელია ფედერალურ დანაშაულში ბრალდებულად

---

[1] მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ დოკუმენტში განხორციელდა რიგი ცვლილებებისა, ის თავდაპირველად შემუშავდა შეერთებული შტატებისა და რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში 2013 წელს და მიზნად ისახავდა ა.შ.შ-ს სამართალდამცავ ორგანოთა საზოგადოებრივი ზედამხედველობისა და რუსეთის ციხეთა ზედამხედველობის მექანიზმების მიმოხილვას. პროგრამის მხარდამჭერი იყო ევრაზიის ფონდი (Eurasia Foundation). პროგრამაში ა.შ.შ-ს სამართალდამცავი ორგანოების საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეროვნული ასოციაციის (NACOLE) მხრიდან მონაწილეობა მიიღეს: ბარბარა ატარდი, კონსულტანტი, ანგარიშვალდებულების ასოცირებული პარტნიორები და კეტრინ ოლსონი, ყოფილი დირექტორი, პროფესიული ანგარიშვალდებულები ოფისი, სიეტლის პოლიციის დეპარტამენტი. ბარაბარა ატარდი წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეროვნული ასოციაციის (NACOLE) ყოფილ პრეზიდენტს, კეტრინ ოლსონი კი არის სამართალდამცავი ორგანოების საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეროვნული ასოციაციის (NACOLE) დირექტორთა საბჭოს წევრი. პროექტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ბრაიან ბუჩნერი, გამომძიებელი, ლოს-ანჯელესის პოლიციის კომისიონერთა საბჭო, გენერალური ინსპექტორის ოფისი და სამართალდამცავი ორგანოების საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეროვნული ასოციაციის (NACOLE) ვიცე-პრეზიდენტი.

[2] ანგარიშის მომზადების პროცესში გამოყენებულ იქნა მრავალი წყარო. ისტორიული საფუძვლების შესწავლისას ავტორებმა გამოიყენეს შემდეგი წყაროები: მერიკ ბობი, პოლიციელთა შეფასების რესურს-ცენტრი, „შიდა და გარე ზედამხედველობა შეერთებულ შტატებში.," ოქტომბერი, 2005; „ეუგენის საპოლიციო კომისიის სამართალდამცავ ორგანოთა ზედამხედველობის მიმოხილვა," თებერვალი, 2005 (ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.parc.info/publications.chtml); სამუელ ვოლკერი, „საპოლიციო ზედამხედველობის ახალი სამყარო," Sage Publications, Thousand Oaks, 2005 და „საპოლიციო ზედამხედველობა: საზოგადოებრივი მონიტორინგის როლი" ბელმონტი, 2001.

ცნობილ პირთა შესაბამის დაწესებულებებში განთავსებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზედამხედველობის მექანიზმები არსებობს როგორც ადგილობრივ, ისე ფედერალურ დონეზე, მოცემული ანგარიში მიმოიხილავს საზოგადოებრივი ზედამხედველობის საკითხს ადგილობრივ დონეზე.[3]

შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი ზედამხედველობის საკითხი არ არის რეგულირებული და სტანდარტიზებული ეროვნული თუ სახელმწიფო სამართლებრივი აქტებით. მე-20 საუკუნემდე პოლიციაზე ზედამხედველობის ვალდებულება ქალაქის მერებსა და პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ საპოლიციო კომისიონერებს ეკისრებოდათ. საპოლიციო კომისიებს განსხვავებული უფლებამოსილებები გააჩნდათ და ისინი ძირითადად მათ დამნიშვნელ პირთა ინტერესებს ემსახურებოდნენ. კომისიონერებს მოეთხოვებოდათ ერთგულება აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საპოლიციო დეპარტამენტების მიმართ.[4] იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური ნიშნით დანიშნული კომისიონერები ვერ ახორციელებდნენ ეფექტურ ზედამხედველობას, პოლიცია არ იყო ანგარიშვალდებული და ჭარბობდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ უფლებამოსილებათა გადამეტების შემთხვევები.

1940-იანი წლებიდან მოზრდილ ქალაქებში განვითარებულმა რასობრივმა დაძაბულობამ და საპროტესო აქციებმა საფუძველი ჩაუყარა პირველი სამოქალაქო ზედამხედველობის ერთეულის დაფუძნებას კოლუმბიის რეგიონში - მეტროპოლიტენის პოლიციის სამოქალაქო კონტროლის საბჭო (Citizens Review Board).[5] საბჭოს წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მისი საბოლოო წარუმატებლობის მიუხედავად, საპოლიციო საქმიანობის ზედამხედველობის საჭიროება კვლავაც მწვავედ იდგა. აღნიშნული განსაკუთრებით ეხებოდა უმცირესობათა და მიგრანტთა თემებს, რომელთა წევრებიც თავს პოლიციის უხეში მიდგომებისა და უსამართლო მოპყრობის მსხვერპლად მიჩნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ეტაპზე სამოქალაქო ზედამხედველობის მექანიზმები ძირითადად ორიენტირებული იყო ინდივიდუალურ შემთხვევათა გამოძიებაზე, მომდევნო პერიოდში ის გაფართოვდა და მოიცვა სისტემური საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ სამართალდამცავი პოლიტიკისა და გადამზადების პრაქტიკების ცვლილებას, ისეთი გამოწვევების საპასუხოდ, როგორიც იყო სამოქალაქო

[3] მაგალითად, კალიფორნიის სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და კალიფორნიის მაგისტრალის საპატრულო პოლიციაში შექმნილია გენერალური ინსპექტორის ოფისები, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ამ დაწესებულებებს.

[4] ზოგიერთი შტატის იურისდიქციაში ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ საპოლიციო კომისიები, თუმცა გაზრდილი საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების პირობებში. მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიციის ხელმძღვანელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესში, წვლილი შეაქვთ პოლიციის დეპარტამენტთა პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების პროცესში ან/და გააჩნიათ საპოლიციო გადაცდომის შემთხვევათა შესწავლის უფლებამოსილება. ჩიკაგოს საპოლიციო საბჭო და სან-ფრანცისკოს საპოლიციო კომისია წარმოადგენენ დღეს არსებულ კომისიათა მაგალითებს, რომლებიც საქმიანობენ როგორ დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები.

[5] ფრანკ ვ. ფერდიკი, ჯეფ როჯეკი და ჯოფრი პ. ალპერტი (2013): საზოგადოებრივი ზედამხედველობა შეერთებულ შტატებსა და კანადაში: მიმოხილვა, საპოლიციო პრაქტიკა და კვლევა: საერთაშორისო ჟურნალი, 14:2, 104-116.

უფლებათა დაცვა, რასობრივი ϰგუფებისადმი მიკუთვნება, დისკრიმინაცია, უკანონო ჩხრეკა, დაკავება და დაპატიმრება, ძალის გადამეტება და სხვა.[6]

კონკრეტულ იურისდიქციაში საზედამხედველო მექანიზმები შესაძლებელია დაფუძნებულ იქნეს სამართალდამცავ ორგანოებში არსებულ ისეთ პრობლემათა საპასუხოდ, როგორიც არის გადამეტებული ძალის გამოყენების გავრცელებული პრაქტიკა ან მაღალი თანამდებობის პოლიციის წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი უკანონო ქმედებები. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება ან სამართალდამცავი ორგანოები პროაქტიულად ქმნიან საზედამხედველო მოდელს მათ იურისდიქციაში შემავალ პრობლემათა საპასუხოდ. შეერთებული შტატების დიდი ქალაქების უმრავლესობაში საზედამხედველო მექანიზმები მუნიციპალურ მთავრობათა განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. შედარებით მცირე მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში შექმნილია სააგენტოები, რომლებიც საზოგადოების წევრებს საშუალებას აძლევენ გავლენა მოახდინონ შესაბამის პოლიტიკაზე.[7] ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სისტემათა შექმნის გზით, სამართალდამცავ ორგანოებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობა მიზნად ისახავს პოლიციასა და თემს შორის ნდობისა და პატივისცემის ხელშეწყობას, კონსტიტუციური და უსაფრთხო საპოლიციო საქმიანობის დანერგვას.

II. **ზედამხედველობის სამი ძირითადი მოდელი**

დღეს შეერთებული შტატების საზედამხედველო სააგენტოების უმრავლესობა მრავალ ფუნქციურ ჰიბრიდულ ორგანოებს წარმოადგენენ, რომლებიც საქმიანობენ არაერთი მიმართულებით, მათ შორის საზოგადოებრივი საბჭოებისა და კომისიების შექმნა, საპოლიციო გადაცდომათა გამოძიება, პოლიციის დეპარტამენტთა შიდა საგამოძიებო საქმიანობის მონიტორინგი/აუდიტი, ისევე როგორც ფართო პოლიტიკისა და გადამზადების სისტემათა შეფასება. ახალ საზედამხედველო ორგანოთა დაფუძნება აერთიანებს დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სფეროდან, რომლებიც იკრიბებიან და განიხილავენ ისეთ პროგრამათა შემუშავების საკითხებს, რომლებიც აუცილებლია მათ იურისდიქციაში არსებულ გამოწვევათა საპასუხოთ. ტრადიციულად, შეერთებულ შტატებში ზედამხედველობის სამი ძირითადი მოდელი არსებობდა, თუმცა დღეს როგორც წესი ვაწყდებით „ინდივიდუალიზებულ: მოდელებს, რომლებიც საკუთარ თავში სხვადასხვა სისტემებისთვის დამახასიათებელ კომპონენტებს აერთიანებენ“.[8] სამი ძირითადი მოდელიდან ორი (გადაცდომების შესახებ საჩივრების განხილვის პროცესის გამოძიება და საგამოძიებო თუ სხვა საპოლიციო საქმიანობის მონიტორინგი/აუდიტი) ზედამხედველობის პროცესზე არის კონცენტრირებული, მესამე კი სტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება (საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭოებისა და კომისიების შექმნა).

---

[6] იუსტინა ვინტრონ პერინო, რედაქტორი, სამართალდამცავ ორგანოთა სამოქალაქო მონიტორინგი, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) გამოცემა, (2006), თავი 1.

[7] სამართალდამცავი ორგანოების საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეროვნული ასოციაციის (NACOLE) რესურს-გვერდი მოიცავს 116 ლინკს შეერთებულ შტატებში არსებული საზედამხედველო ორგანოების შესახებ. NACOLE ამ ეტაპზე ახორციელებს სიის განახლებას იმისთვის, რომ დაადასტუროს თითოეული ჩამოთვლილი საზედამხედველო ორგანოს როლი და შემადგენლობა. იხ: http://nacole.org/resources/police-oversight-jurisdiction-usa

[8] მოცემული ანგარიშის დანართი აღწერს სამი ძირითადი მოდელის მქონე ორგანოთა მაგალითებს, თითოეული მათგანის როლსა და უფლებამოსილებებს.

A. გამოძიების ჩატარება

მრავალი საზედამხედველო ორგანო იხილავს საპოლიციო გადაცდომათა შესახებ განცხადებებს. საგამოძიებო ორგანოებს გააჩნიათ საჩივრების დასაშვებად ცნობის, მტკიცებულებათა შეგროვებისა და მოწმეთა დაკითხვის (მათ შორის სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების) უფლებამოსილება, რომელსაც მოსდევს ძირთადი მიგნებების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება სავარაუდო გადაცდომასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს საზოგადოებრივი საბჭო ან კომისია წარმოადგენს, თავდაპირველად მოქალაქეთა ჯგუფი ატარებს გამოძიებას ფაქტების შესასწავლად, გადაწყვეტილების მიღებამდე კი იმართება მოსმენა საბჭოს ან კომისიის წინაშე ფაქტების დადგენის მიზნით. სხვა შემთხვევებში, რეკომენდირებული ძირითადი მიგნებები და ფაქტები წარედგინება პოლიციის ხელმძღვანელს, რომელსაც გააჩნია გადაწყვეტილების მიღების საბოლოო უფლებამოსილება ქცევისა და დისციპლინის საკითხებთან მიმართებით.

საგამოძიებო უფლებამოსილება ამტკიცებს საზედამხედველო ორგანოთა გავლენას. საგამოძიებო ერთეულები ახდენენ საჩივართა კლასიფიცირებას, ადგენენ გადაცდომის სახეს, ახდენენ დასაკითხ მოწმეთა იდენტიფიცირებას, განსაზღვრავენ დასასმელ კითხვებს და იღებენ გადაწყვეტილებას განსახილველი მტკიცებულებების შესახებ. ამასთან სამოქალაქო მოწმეებმა, შესაძლებელია გამოხატონ მეტი მზაობა ჩაერთონ დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს გამოძიებაში, რომელიც არ ექვემდებარება სამართალდამცავ ორგანოებს. გამოყენებული საგამოძიებო მეთოდები, შესაბამის პირთა უნარები და პროფესიონალიზმი პირდაპირ გავლენას ახდენს გამოძიების მიმდინარეობასა და მის საბოლოო შედეგზე.

საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე საზედამხედველო ორგანოს შექმნის შესახებ მსჯელობისას, სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ: (1) საჩივართა სახეები, რომლებიც შესაძლებელია გამოძიებულ იქნეს (მაგ.: ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელებისას (on duty) ან სხვა დროს (off duty) ჩადენილი ქმედებები, კრიმინალი, ძალის გამოყენება, მიკერძოებულობა, გულგრილობა და სხვა); (2) მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემის მოთხოვნის უფლებამოსილება (ოფიციალური უწყების გაგზავნის ან სხვა მეთოდით); (3) იქნება თუ არა გამოძიება ორიენტირებული კრიტიკულად მნიშვნელოვან შემთხვევებზე; (4) შემთხვევასთან დაკავშირებით შედგენილ ოქმებზე, კომუნიკაციის მონაცემებზე, ძალის გამოყენების შესახებ განცხადებებზე, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებსა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოპოვებულ სხვა მტკიცებულებით მასალებზე წვდომა; (5) მოწმეთა წარმომადგენლობის უფლებები; (6) საჩივრების წარდგენისთვის აუცილებელი ხანდაზმულობის ვადა; (7) საჩივართა განხილვისა და გამოძიების ვადები; (8) აუცილებელი იქნება თუ არა საჩივრების დახარისხება, მხოლოდ ყველაზე მძიმე ბრალდებების შემცველი ან იმ საჩივრების განხილვის მიზნით, რომლებიც ფართო სისტემურ საკითხებს უკავშირდება; (9) ვის ექნება საბოლოო გადაწყვეტილებისა და შესაბამისი დისციპლინური ზომების მიღების უფლებამოსილება; (10) გადახედვისა და გასაჩივრების მოთხოვნის უფლება მომჩივანისა და პოლიციის ოფიცრების მიერ; და (11) მოხდება თუ არა საჩივრების სისტემური ანალიზი და ძირითადი ასპექტების გამოკვეთა პოლიციის დეპარტამენტისა და საზოგადოებისთვის ანგარიშების წარდგენის მიზნით.

B. პოლიციის შიდა საგამოძიებო თუ სხვა სისტემათა მონიტორინგი/აუდიტი

მონიტორინგის/აუდიტის საზედამხედველო ორგანოები იხილავენ და აანალიზებენ საპოლიციო გადაცდომების ან სხვა ქმედებების (მაგ.: ძალის გამოყენება/გადამეტება) შესახებ სამართალდამცავ დაწესებულებათა შიდა საგამოძიებო საქმიანობას. მათ შესაძლებელია ასევე ქონდეთ დაწესებულებათა პოლიტიკის დოკუმენტებისა და პრაქტიკების შეფასების უფლებამოსილება.[9] აღნიშნული წარმოადგენს ზედამხედველობის ახალ მოდელს, რომელიც 1990-იანი წლებიდან განვითარდა. გადაცდომათა გამოძიებაზე ორიენტირებული მონიტორინგი/აუდიტი, თავის თავში მოიცავს პოლიციის დეპარტამენტის შიდა გასაჩივრების პროცედურის სისტემატიურ შემოწმებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას გადაცდომების შესახებ საჩივართა სამართლიანი და სიღრმისეული გამოძიება. მრავალ იურისდიქციაში, აუდიტორს/მონიტორს შეუძლია დაესწროს მოწმეთა გამოკითხვას და წარმოადგინოს საკუთარი შეკითხვები. პროცესი შესაძლებელია მოიცავდეს გასაჩივრების მექანიზმებს აუდიტორსა და უწყებას შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, თუმცა უმეტეს შემთხვევებში პოლიციის ხელმძღვანელი ან ქალაქის მმართველი იღებს გადაწყვეტილებას გადაცდომის ფაქტზე ჩატარებული გამოძიების საბოლოო შედეგთან დაკავშირებით. ძლიერ აუდიტის/მონიტორინგის ორგანოებს მინიჭებული აქვთ საჩივრების კვალიფიკაციის, გადაცდომის სიმძიმის მიხედვით საჩივართა დახარისხებისა და გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ უწყების შიდა სამსახური უარს ამბობს ან არაჯეროვანად იძიებს საკითხს.

აუდიტის/მონიტორინგის მიდგომის განსაკუთრებულ სიძლიერეს ყველა საჩივრისა და საპოლიციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვის უფლებამოსილება წარმოადგენს. აღნიშნული ასევე იძლევა გადაცდომის შემთხვევებთან დაკავშირებული ძირითადი მახასიათებლებისა და პატერნების გამოკვეთისა და ანალიზის შესაძლებლობას, რასაც ხშირად ვხვდებით საგამოძიებო მოდელებში. აუდიტორს/მონიტორს შეუძლია შეაფასოს პოლიციის დეპარტამენტთა სისტემები, მაგალითად ძალის გადამეტების შესახებ ინციდენტების შესწავლის, საპოლიციო გადამზადების და რისკ-მენეჯმენტის პროგრამები. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება ანგარიშების მოსამზადებლად, პოლიტიკის დოკუმენტებისა და ტრენინგ სისტემებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შესამუშავებლად, საპოლიციო სააგენტოებში სისტემურ ცვლილებათა წასახალისებლად, ისევე როგორც პრობლემური საჩივრების ისტორიის მქონე პოლიციის ოფიცრებისა და კონკრეტული დანაყოფების გამოსავლენად,

აუდიტის/მონიტორინგის საზედამხედველო მიდგომის დანერგვის შესახებ მსჯელობისას, მნიშვნელოვანია შემდეგ ფაქტორთა გათვალისწინება: (1) აუდიტი/მონიტორი განიხილავს მხოლოდ საჩივრებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს თუ ექნება საქმეთა გამოძიების უფლებამოსილებაც: (2) პოლიციის დაწესებულებებში დაცულ მონაცემებზე აუდიტის/მონიტორის წვდომის ფარგლები; (3) იქნება თუ არა აუდიტი/მონიტორი კონცენტრირებული მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საჩივრების განხილვაზე; (4) საჩივრების განსახილველად აუცილებელი ხანდაზმულობის ვადა; (5) მომჩივანისა და პოლიციის ოფიცრების მიერ გადახედვისა და გასაჩივრების მოთხოვნის უფლება; (6) ექნება თუ არა აუდიტორს/მონიტორს სხვა საპოლიციო სისტემათა შესწავლის უფლებამოსილება,

[9] ზოგიერთი შტატის იურისდიქციაში აუდიტს/მონიტორს მათი ფუნქციებიდან გამომდინარე ეწოდება გენერალური ინსპექტორი. მაგალითად ლოს-ანჯელესის გენერალური ინსპექტორის პოლიციის კომისიონერთა საბჭოს ოფისი.

მაგალითად ძალის გამოყენების შემთხვევათა გამოძიების პროცედურები ან გადამზადების პროგრამები; (7) არსებობს თუ არა აუდიტორის/მონიტორის რეკომენდაციებზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან რეაგირების გასაგები პროცედურები; (8) აქვს თუ არა აუდიტორს/მონიტორს უფლებამოსილება მოითხოვოს პოლიტიკის დოკუმენტებსა და გადამზადების სისტემებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესრულება; და (9) აუდიტორის/მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიშების თემა და მათი საზოგადოებისა და საპოლიციო დაწესებულებებისთვის მიწოდების სიხშირე.

C. საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭოები და კომისიები[10]

მრავალი საზედამხედველო ორგანო შეერთებულ შტატებში მოიცავს საზოგადოებრივ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი პერსპექტივის საპოლიციო ორგანოებისთვის მიწოდებას. საზედამხედველო საბჭოებისა და კომისიების უფლებამოსილებები განსხვავებულია. ის შესაძლებელია გულისხმობდეს მხოლოდ წარდგენილ საჩივართა მოსმენას ან პოლიციის მიერ ჩატარებულ გამოძიებათა შეფასებას, მტკიცებულებათა დეტალურ შესწავლას და დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადებას.

კომისიონერებს თუ საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს, როგორც წესი პოლიტიკური ნიშნით დანიშნული პირები წარმოადგენენ, რომლებსაც წარადგენენ მერები, მუნიციპალიტეტები ან რეგიონული ხელმძღვანელები. საზოგადოების ფართო წრეთა წარმომადგენლობის მიზანი ხშირად განაპირობებს საბჭოს წევრთა უნარებისა და ანალიტიკური შესაძლებლობების მკვეთ განსხვავებას. შესაბამისად ძალზედ მნიშვნელოვანია, კომისიებმა, საბჭოებმა თუ სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ წევრების გადამზადება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მათი უფლებამოსილებები, საპოლიციო საქმიანობა, საგამოძიებო პროცედურები და საზედამხედველო ეთიკის ნორმები. მათ ასევე უნდა მიეწოდოთ გადაწყვეტილების მიღებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად აუცილებელი დოკუმენტები და ინფორმაცია.

საბჭოებსა და კომისიებს შესწევთ უნარი მნიშვნელოვნად აამაღლონ საზოგადოების ნდობა სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. როდესაც საზოგადოების წევრებს ეძლევათ საჩივრების მოსმენის, შეფასებისა და რეკომენდაციების წარდგენის შესაძლებლობა, ისევე როგორც სივრცე იმ პირთა მოსასმენად, რომელთა ხმაც სხვა შემთხვევაში დაკარგული იქნებოდა, იზრდება საზოგადოებრივი ნდობა. თუმცა, იმ შემთხვევაში როდესაც საბჭოს ან კომისიის უფლებამოსილებები შეზღუდულია, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ჩართულ მხარეთა იმედგაცრუება.

საბჭოს ან კომისიის შექმნის შესახებ მსჯელობისას მნიშვნელოვანია შემდეგ ფაქტორთა გათვალისწინება: (1) არსებობს თუ არა საზოგადოების ფართო წრეთა წარმომადგენლობის შესაძლებლობა; (2) ყავს თუ არა საზედამხედველო ორგანოს ადმინისტრაციული გუნდი და სხვა რესურსები საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად; (3) როგორ ხდება საბჭოს/კომისიის

[10] ტერმინი „კომისია“ საზედამხედველო ორგანოებთან მიმართებით გამოიყენება ფართო გაგებით. ის შეიძლება მიემართებოდეს ისეთ ორგანოებს, რომლებიც ასრულებენ პოლიციის დეპარტამენტების დირექტორთა საბჭოს ფუნქციებს ან შედარებით შეზღუდული უფლებამოსილების მქონე ორგანოების მიმართ, რომელთა როლი შემოიფარგლება მხოლოდ საჩივართა განხილვით ან საზოგადოებაში არსებული შეხედულებების პოლიციის დეპარტამენტებისთვის მიწოდებით.

წევრთა გადამზადება შესაბამის სამართლებრივ თუ პოლიტიკის საკითხებზე და უზრუნველყოფილია თუ არა საზედამხედველო ორგანო შესაბამისი უნარებით და ინფორმაციით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მისაღებად; (4) იძიებს და განიხილავს თუ არა საბჭო/კომისია ან შესაბამისი სამუშაო ჯგუფი საჩივრებს და რამდენია გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა; (5) იხილავს თუ არა კომისია/საბჭო მხოლოდ კრიტიკულად მნიშვნელოვან საჩივრებს; (6) გააჩნია თუ არა საზედამხედველო ორგანოს პოლიტიკის სისტემების შესწავლის უფლებამოსილება, როგორიც არის ძალის გამოყენების განხილვის პროცედურები ან გადამზადების პროგრამები; (7) არსებობს თუ არა სამართალდამცავ ორგანოთა მიერ მიღებულ რეკომენდაციებზე რეაგირების გასაგები პროცედურები; (8) გააჩნია თუ არა საზედამხედველო ორგანოს პოლიტიკასა და გადამზადების სისტემებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება; (9) აუდიტის/მონიტორის მიერ მომზადებული ანგარიშების თემა და მათი საზოგადოებისა და სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიწოდების სიხშირე; და, (10) გააჩნიათ თუ არა საზოგადოებრივი ზედამხედველობის ორგანოთა წევრებს სამართალდამცავ ორგანოებთან, სხვა სახელმწიფო უწყებებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმები.

III. ზედამხედველობის წარმატებულ სისტემათა კომპონენტები

კონკრეტულ იურისდიქციაში შექმნილი საზედამხედველო ორგანოს სტრუქტურის მიუხედავად, არსებობს რიგი ფაქტორებისა, რომლებიც განსაზღვრავენ მსგავს ორგანოთა საქმიანობის წარმატებას. ამა თუ იმ თემში შექმნილი მოდელის სუსტი და ძლიერი მხარეების გაანალიზების შედეგად დაინტერესებულ მხარეებს შესაძლოა გაუჩნდეთ საპოლიციო ზედამხედველობის სისტემის შეცვლის ან გაძლიერების სურვილი. ზედამხედველობა არ წარმოადგენს სტატიკურ პროცესს. ის დროთა განმავლობაში უნდა განვითარდეს, გაითვალისწინოს სხვა მსგავს ორგანოთა ეფექტური პრაქტიკის მაგალითები და მუდამ უნდა პასუხობდეს თემის ცვალებად მდგომარეობასა და გამოწვევებს. ქვემოთ განხილული კომპონენტები გათვალისწინებულ უნდა იქნას საზედამხედველო ორგანოთა შექმნის ან მათ საქმიანობაში ცვლილებათა განხორციელების ეტაპზე.

A. დამოუკიდებლობა

იმისთვის რომ საზედამხედველო ორგანოს საქმიანობა იყოს წარმატებული, მნივშენლოვანია მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა კონკრეტული ინტერესთა ჯგუფების, პოლიციისა თუ თანამდებობაზე არჩეული და სხვა საჯარო მოხელეებისგან. თემსა და პოლიციის ოფიცრებს უნდა ქონდეთ რწმენა, რომ საზედამხედველო ორგანო და მისი ხელმძღვანელები საქმიანობენ სამართლიანად და მიუკერძოებლად. თუ გამოძიებას ატარებს საზედამხედველო ორგანო, უმნიშვნელოვანესია საზოგადოების წევრები, ისევე როგორც პოლიციის ოფიცრები საქმიანობას ახორციელებდნენ შესაბამისი სამართლიანი პროცედურების დაცვითა და პატივისცემით. საზედამხედველო ორგანო და მისი ხელმძღვანელები კანონის ფარგლებში მოქმედებისას არ უნდა დაექვემდებარონ ცენზურასა და კონტროლს გადაწყვეტილებათა მიღებისა და საჯარო ანგარიშების მომზადების პროცესში.[11] საზედამხედველო ორგანოებს უნდა გააჩნდეთ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობა საჩივართა განხილვის ისევე,

[11] შეერთებულ შტატებში პოლიციის ოფიცერთა კონფიდენციალურობასა და დისციპლინური სანქციების საჯაროობასთან დაკავშირებული რეგულაციები მნიშვნელოვნად განსხვავდება თითოეული შტატის მიხედვით.

როგორც პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისას და მათ არ უნდა ჰქონდეთ ანგარიშსწორების შიში.

საზედამხედველო ორგანოებს უნდა გააჩნდეთ გარე კონსულტანტთა დასაქირავებლად აუცილებელი უფლებამოსილება და დაფინანსება, მგავსი საჭიროების არსებობის შემთხვევაში. გარე კონსულტანტთა დაქირავება შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ინფორმაციის შეგროვებისა და საზედამხედველო ორგანოსთვის მიწოდებისთვის, რომელიც საფუძვლად დაედება პოლიტიკასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებს. ექსპერტებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ მეტი ცოდნა და გამოცდილება აღნიშნული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის. ქალაქისა და რეგიონის მთავარ ოფიცრებს, რომლებიც წარმოადგენენ შედარებით ფართო ტერიტორიულ იურისდიქციებს, ხშირად გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი და ვერ უზრუნველყოფენ საზედამხედველო ორგანოთა დამოუკიდებლად წარმოდგენას - განსაკუთრებით კი აზრთა სხვადასხვაობისა და კონფლიქტის შემთხვევაში. არასაკმარის სამართლებრივ წარმომადგენლობას შესაძლებელია შედეგად მოყვეს გადაწყვეტილებათა მიღება ყველა არსებულ ფაქტორთა გათვალისწინების გარეშე, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს საზედამხედველო ორგანოსა და მის მისიაზე.

B. საჯარო მოხელეთა მხარდაჭერა

საზედამხედველო ორგანოს საქმიანობისადმი პოლიტიკური ნების არსებობის გარეშე, ის მუდამ წააწყდება წინააღმდეგობებს სამართალდამცავ ორგანოთა პრაქტიკების შესწავლისა და გამოვლენილ პრობლემათა გადაჭრის პროცესში. საზედამხედველო მექანიზმები ხშირ შემთხვევაში კრიზისულ პერიოდებში იქმნება. მათი შექმნა შესაძლებელია შედეგად მოყვეს პოლიციის მხრიდან ბუნდოვან გარემოებებში განხორციელებულ სროლასთან დაკავშირებით აღმოცენებულ საზოგადოებრივ პროტესტს, ან საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფთა იმედგაცრუებას, რომელიც მომდინარეობს მათი ვიქტიმიზაციისა და მათდამი არასათანადო მოპყრობიდან. ნებისმიერ შემთხვევაში პოლიტიკური ნება აუცილებელია საჯარო მოხელეთა წახალისებისთვის შექმნან შესაბამისი ანგარიშვალდებულების მექანიზმი. საზედამხედველო ორგანოების ავტორიტეტის შესალახად, მათი ქმედებები შესაძლებელია ზოგჯერ წარმოჩენილ იქნეს, როგორც ანტი-საპოლიციო. სწორედ ამ დროს აუცილებელია კეთილსინდისიერ პოლიტიკოსთა მხარდაჭერა, რომლებიც პატივს სცემენ დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

საბოლოოდ, სწორედ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული საზედამხედველო ორგანოთა წარმატება. მსგავს ორგანოებს შესაძლებელია გააჩნდეთ საკმარისი უფლებამოსილებები, თუმცა ძალაუფლების მქონე პირთა მხარდაჭერის გარეშე მათი საქმიანობა ვერ იქნება შედეგის მომტანი. საზედამხედველო პროცესის ხელშეშლა მრავალი მეთოდით არის შესაძლებელი, მაგალითად არაკომპეტენტური ხელმძღვანელების თუ საბჭოს წევრების დანიშვნის, არასაკმარის უფლებამოსილებათა მინიჭების ან მათი რეკომენდაციების თუ ძირითადი მიგნებების უარყოფის გზით. იმისთვის, რომ საზედამხედველო ორგანოებმა წარმატებით შეძლონ სამართალდამცავ ორგანოთა ტრანსფორმაცია, ხელისუფლების წარმომადგენლები ყველა დონზე მზად უნდა იყვნენ დაუპირისპირდნენ პოლიციელთა არასათანადო ქცევის შემთხვევებს და პატივი უნდა სცენ დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა როლს. მათ ასევე სრულად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რომ პოლიტიკურმა განსხვავებებმა შესაძლოა

კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე საპოლიციო სისტემის შექმნის საბოლოო მიზანი.

C. საჯარო მოხელეებსა და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობა

საზედამხედველო ორგანოებს შეერთებული შტატების მასშტაბით გააჩნიათ სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისა და მათთან მუშაობის განსხვავებული პრაქტიკა. მსგავს ორგანოთა უმრავლესობა უფლებამოსილია შეხვდეს პოლიციის ხელმძღვანელებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათ აკისრიათ გარკვეული როლი მოცემულ პირთა თანამდებობაზე დანიშვნის პროცესში. საზედამხედველო ორგანოთა სამთავრობო სტრუქტურებთან ინტეგრაციისთვის, მნიშვნელოვანია მათ ქონდეთ არჩეულ თუ თანამდებობაზე დანიშნულ პირებთან, ისევე როგორც შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან პირდაპირი წვდომა. საზედამხედველო ორგანოებს, თანამდებობის პირებსა და საპოლიციო უწყებებს შორის რეგულარული შეხვედრები უზრუნველყოფს მხარეთა მიერ ერთმანეთის საქმიანობის მხარდაჭერას და თითოეული ჩართული მხარის როლის სრულ გააზრებას ანგარიშვალდებული საპოლიციო საქმიანობის ხელშეწყობის პროცესში.

D. ფართო უფლებამოსილება

მნიშვნელოვანია საზედამხედველო ორგანოებს გააჩნდეთ საკმარისი უფლებამოსილება იმისთვის, რომ ეფექტურად ემსახურონ საკუთარ თემს. მაგალითად საგამოძიებო უფლებამოსილების მქონე ორგანოებს უნდა ჰქონდეთ მოწმეთა, მათ შორის პოლიციის ოფიცერთა დაკითხვის, ისევე როგორც ყველა დოკუმენტსა და მტკიცებულებებთან წვდომის შესაძლებლობა (ოფიციალურ უწყებათა გაცემის ან სხვა მექანიზმების გამოყენებით). აუდიტის/მონიტორინგის ორგანოებს უნდა გააჩნდეთ ხარვეზებით წარმართულ საგამოძიებო პროცედურათა გამოსწორების შესაძლებლობა, დამატებითი გამოძიების ჩატარების მოთხოვნის ან საკუთარი დამოუკიდებელი გამოძიების წარმართვის გზით. საბჭოებსა და კომისიებს უნდა გააჩნდეთ ცვლილებათა ინიცირებისა და მათი ზედამხედველობის ქვეშ არსებულ პოლიციის დეპარტამენტებზე დადებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. საზედამხედველო ორგანოთა შექმნის პროცესში ყოველთვის აქტიურად არის ჩართული ფართო საზოგადოება, შესაბამისად მაღალია მათი საქმიანობის მიმართ საზოგადოებრივი მოლოდინები. იმისთვის, რომ საზედამხედველო ორგანო იყოს ეფექტური და შეინარჩუნოს საზოგადოებრივი მხარდაჭერა, მას უნდა გააჩნდეს ფართო უფლებამოსილება შესაბამის ცვლილებათა გასატარებლად და პროგრესის მისაღწევად.

E. საპოლიციო პოლიტიკის, გადამზადებისა და სხვა სისტემური საკითხების შესწავლა

საპოლიციო სისტემათა გადახედვა მიიჩნევა ზედამხედველობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფორმად, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ფართო ორგანიზაციული ცვლილებები სამართალდამცავ ორგანოებში. საპოლიციო უწყებების პოლიტიკებისა და გადამზადების სისტემათა შესწავლა, მათ საფუძველზე კი რეკომენდაციების მომზადება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს საზედამხედველო ორგანოთა საქმიანობის ყველა მოდელთან. სისტემური პრობლემები შესაძლებელია გამოვლინდეს გამოძიების მიმდინარეობის, აუდიტის ჩატარების ან საზოგადოებრივ შეხვედრებზე ჩვენებათა მიღების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ეკისრებოდეთ

მიღებულ რეკომენდაციათა შესრულების ან საზოგადოებისთვის იმის განმარტების ვალდებულება, თუ რატომ არ შესრულდა ესა თუ ის რეკომენდაცია. ამასთან აუცილებელია განგრძობადი მონიტორინგის არსებობა რათა უზრუნველყოფილ იქნას რეკომენდაციების შედეგად მიღებულ პროცედურათა დანერგვა და შესაბამისი კადრების გადამზადება.

იმის გათვალისწინებით, რომ საზედამხედველო ორგანოთა ფოკუსს შესაძლებელი წარმოადგენდეს სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის ფართო სპექტრი, მნივშენლოვანია შესაბამისი სტრატეგიული მიმართულებების არჩევა და იმის განსაზღვრა თუ, როგორ უნდა მიიღოს საზედამხედველო ორგანომ შესაბამისი მხარდაჭერა საკუთარი ინიციატივების განხორციელების პროცესში. ნებისმიერი საზედამხედველო ორგანოსთვის ხელმისაწვდომი ლიმიტირებული რესურსების გათვალისწინებით, პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, შექმნის მეტად სისტემატური და ეფექტური საქმიანობის შესაძლებლობას. ამასთან მნიშვნელოვანია საზედამხედველო ორგანომ სისტემურად მიაწოდოს საზოგადოებასა და შესაბამის დაინტერესებულ პირებს (თემის წევრები, საჯარო მოხელეები, პოლიცია) ინფორმაცია საპოლიციო საქმიანობაში მის მიერ შეტანილი დადებითი წვლილის შესახებ.

F. ადეკვატური დაფინანსება

საზედამხედველო ორგანოებს უნდა ქონდეთ ადეკვატურ დაფინანსება და მისი ხარჯვის უფლებამოსილება, იმისთვის რომ შეძლონ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელება და უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის ეფექტურობა. მსგავს ორგანოებს უნდა გააჩნდეთ აუცილებელი კადრების დაქირავების ფინასური შესაძლებლობა. დაქირავებულ პირებს უნდა ქონდეთ შესაბამისი უნარები რათა შეისწავლონ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, გაანალიზონ პოლიტიკის დოკუმენტები და დროულად მოამზადონ შესაბამისი წერილობითი მასალები ანგარიშების წარდგენის, დავების განხილვის, საჯარო მოსმენებისა და სხვა აქტივობათა განსახორციელებლად. იმპერატიულია ასევე საკმარისი დაფინანსების არსებობა საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, რათა საზედამხედველო ორგანოებმა შეძლონ სამართალდამცავ ორგანოებთან და თემთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. ზოგიერთი საზედამხედველო ორგანოს სადამფუძნებლო სამართლებრივი აქტებით გაწერილია დაქირავებულ პირთა დასაშვები წილი.[12]

საზედამხედველო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ საგამოძიებო, აუდიტისა და მონიტორინგის აქტივობებს უნდა გააჩნდეთ მონაცემთა ბაზების შესყიდვისა და გამოყენებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, რათა ეფექტურად აღრიცხონ პროცესის ყველა ასპექტი. საჩივართა რაოდენობა ხარისხის კონტროლის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს, მონაცემთა შეგორებისა და ანალიზის შედეგად, პოლიციის ხელმძღვანელებსა და თანამდებობის პირებს შეუძლიათ მიიღონ უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია შესაძლო პრობლემურ მიმართულებათა შესახებ. ამ მონაცემებმა შესაძლებელია გამოავლინონ პოლიციელთა ქცევის მნიშვნელოვანი პატერნები, როგორიც არის უსაფუძვლო დაკავება, ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა, დისკრეციული დაპატიმრება. სწორედ მსგავსი ქმედებები ედება საფუძვლად პოლიციელთა წინააღმდეგ საჩივრების წარდგენას, შესაბამისად

[12] 1996 წელს სან-ფრანცისკოს ამომრჩეველთა ინიციატივით ცვლილებები შევიდა შესაბამის რეგულაციებში და დადგინდა, რომ სან-ფრანცისკოს მოქალაქეთა საჩივრების ოფისს უნდა ჰყოლოდა ერთი გამომძიებელი ყოველ 150 პოლიციის ოფიცერზე.

იკვეთება პოლიციასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის ის ასპექტები, რომლებიც შესწავლას საჭიროებენ. საჩივართა ისტორია უნდა იქნეს განხილული, როგორც ინდივიდუალურ პოლიციელთა თუ კონკრეტულ დანაყოფთა საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი, რომელიც წარმოაჩენს იმას თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები მოქალაქეებთან კომუნიკაციას. საჩივართა აღრიცხვის ეფექტური, ციფრული სისტემა იძლევა მსგავსი ანალიზის შესაძლებლობას. მრავალ საზედამხედველო ორგანოებს გააჩნიათ გაერთიანებული მონაცემთა ბაზები, რომლებიც ასევე ხელმისაწვდომია სამართალდამცავ ორგანოთა შიდა სტრუქტურული ერთეულებისთვის, შესაბამისად დაინტერესებულ მხარეებს გააჩნიათ საჩივრების შესახებ მუდმივად განახლებად მონაცემებთან წვდომა.

G. ეფექტური ზედამხედველობისთვის აუცილებელი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

იმისთვის, რომ საზედამხედველო ორგანოთა საქმიანობა იყოს ეფექტური და ლეგიტიმური აუცილებელია მის წევრებს გააჩნდეთ შესაბამისი გამოცდილება და მოხდეს მათი გადამზადება განსახორციელებელი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებით. ზოგიერთი საზედამხედველო ორგანოს შემთხვევაში სავალდებულოა მის თანამშრომლებს ქონდეთ შესაბამისი განათლება სამართალმცოდნეობის ან სისხლის სამართლის მიმართულებით. საბჭოს/კომისიის წევრობის შემთხვევაში, ყურადღება ექცევა ფართო საზოგადოებრივი წარმომადგენლობის გამოცდილებას. ამასთან, ყველა შემთხვევაში სავალდებულოა პოლიტიკის შემუშავების პროცესისა და საზედამხედველო ორგანოთა როლის ზოგადი ცოდნა. საბედნიეროდ, საზედამხედველო ორგანოთა საქმიანობაში ჩართულ პირებს ხშირად მიუწვდებათ ხელი საპოლიციო გადამზადების რესურსებზე, მათ შეუძლიათ დაესწრონ პატრულირების პროცესს, მონაწილეობა მიიღონ „ისროლე/არ ისროლო“ სიმულაციებში და გამოიყენონ სხვა აუცილებელი რესურსები.

საზედამხედველო საქმიანობის განმახორციელებლ პროფესიონალთა მხარდასაჭერად სამართალდამცავი ორგანოების საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეროვნულმა ასოციაციამ (National Association for Civilian Oversight of Law Enforcement - NACOLE) შეიმუშავა ძირითადი კომპეტენციების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია მოცემული მიმართულებით საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის. კომპეტენციები განაწილებულია 6 ძირითად კატეგორიაში: (1) ზედამხედველობის სიტემათა ისტორია, თეორიები და მოდელები; (2) საჩივართა გამოძიების ან ჩატარებულ გამოძიებათა აუდიტისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; (3) საზოგადოების ინფორმირება და გამჭვირვალობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ანგარიშგების ჩათვლით; (4) შესაბამისი კანონმდებლობა, მათ შორის კონსტიტუციური სტანდარტები, პოლიციის უფლებებისა და კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ კანონი, ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ რეგულაციები და ეთიკა სამართალდამცავ და საზედამხედველო საქმიანობაში; (5) საპოლიციო საქმიანობის განხორციელებისა და შესაბამისი პროცედურების მარეგულირებელი პოლიტიკის დოკუმენტები; და (6) მედიაცია და დისციპლინა, ადრეული გაფრთხილების სისტემები, განათლებაზე დაფუძნებული დისციპლინა და გასაჩივრების პროცედურები. NACOLE-ს ვებგვერდზე (www.nacole.org) მოცემულია ვრცელი ინფორმაცია საზედამხედველო საქმიანობის განმახორციელებელ პრაქტიკოსთა გადამზადების საკითხებზე.

H. ეთიკის სტანდარტები

საზოგადოებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პრაქტიკოსებისთვის ეთიკის სტანდარტების არსებობა მათი საქმიანობის ეფექტურად განხორცილებისთვის აუცილებელ ასპექტს წარმოადგენს. NACOLE-ს მიერ შემუშავებულია ეთიკის კოდექსი, რომელიც მიზნად ისახავს ზედამხედველობის პროცესში კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფას. კოდექსის პრეამბულის თანახმად "საზოგადოებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პრაქტიკოსები ასრულებენ უნიკალურ როლს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობის მიმართულებით. თავად საზოგადოება, ხელისუფლება და სამართალდამცავი სისტემა უცხადებს მათ ნდობას რათა პროფესიონალურად, სამართლიანად და მიუკერძოებლად განახორციელონ საკუთარი საქმიანობა. მათ წინაშე გამოხატული მაღალი ნდომა ეფუძნება საჯარო სიკეთის, საზედამხედველო ორგანოს მისიისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული ეთიკური და პროფესიონალური სტანდარტების დაცვისადმი დაფიქსირებულ პატივისცემას."[13] ეთიკის კოდექსი მოიცავს მოლოდინებს შემდეგი მიმართულებებით: (1) პერსონალური კეთილსინდისიერების, ერთგულების, სამართლიანობისა და სიმტკიცის პრინციპების დემონსტრირება; (2) გამოძიების, აუდიტის, შეფასებისა და განხილვის გულმოდგინედ, ობიექტურად და სამართლიანად განხორციელება; (3) საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების პროცესში გამჭირვალობის პრინციპის პატივისცემასთან ერთად, იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა, რომლის გასაჯაროებაც დაუშვებელია; (4) ყველა ინდივიდისადმი პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობა; (5) საზოგადოებასთან ურთიერთობის გზით ინფორმაციის გავრცელება და თემის ინტერესების შესწავლა; (6) მუდმივი სწრაფვა საზედამხედველო საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის; და (7) პროფესიონალური განვითარების შესაძლებლობათა მუდმივი ძიება.

I. თემის/დაინტერესებულ მარეთა მხარდაჭერა და საზოგადოებასთან ურთიერთობა

შეერთებული შტატების მრავალ იურისდიქციაში საზედამხედველო ორგანოები იქნება სათემო ორგანიზაციათა თუ ამომრჩეველთა ინიციატივით. მიუხედავად იმისა თუ ვისგან მომდინარეობს მსგავს ორგანოთა შემქნის ინიციატივა, საზოგადოების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია საზედამხედველო ორგანოთა წარმატებული საქმიანობისთვის. საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა აუცილებელია ორგანოთა შენარჩუნებისთვის რთულ პერიოდებში, როდესაც საქალაქო თუ სამთავრობო უწყებები დგანან დაფინანსების შემცირების აუცილებლობის წინაშე ან იმ ვითარებაში, როდესაც საზედამხედველო ორგანო გამოავლენს კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც მკაცრ მოთხოვნებს უყენებს სამთავრობო უწყებებს. მიუხედავად ამისა, საზედამხედველო საქმიანობის განმახორციელებელი პრაქტიკოსებისთვის შესაძლოა რთული იყოს საზოგადოებრივი მხარდაჭერის შენარჩუნება, მათ უნდა შეინარჩუნონ მიუკერძოებლობა და ობიექტურობა მიუხედავად იმისა იძიებენ ისინი კონკრეტულ საჩივარს პოლიციის გადაცდომის შესახებ, თუ აფასებენ პოლიტიკასა და გადამზადების სისტემებში ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობას. საზედამხედველო ორგანო ვერ იქნება აღქმული როგორც საზოგადოების ჩემპიონი ან პოლიციის რუპორი, ნაცვლად ამისა ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად, ის აღქმული უნდა იყოს როგორც სამართლიანი ყველა

[13] ეთიკის კოდექსის სრული ვერსია ხელმისაწვდომია მისამართზე: http://nacole.org/resources/nacole-code-ethics

ჩართული მხარის მიმართ. უმნიშვნელოვანესია სააგენტომ საზოგადოებასთან ურთიერთობის, ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისა და ანგარიშგების გზით უზრუნველყოს საზოგადოების (და ყველა დაინტერესებული მხარის) ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა პროცედურებით მიმდინარეობს მისი საქმიანობა და რა კეთდება საპოლიციო საქმიანობის გასაუმჯობესებლად. თემის წევრები, საჯარო მოხელეები და სამართალდამცავ ორგანოთა წევრები მხარს დაუჭერენ მხოლოდ ეფექტურ, სამართლიან და მიუკერძოებელ საზედამხედველო ორგანოს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში მნიშვნელოვანი ასევე ხაზი გაესვას საზედამხედველო ორგანოთა საქმიანობის შეზღუდვებს. ძალიან ხშირად, საზოგადოებაში არსებობს მოლოდინი, რომ საზედამხედველო ორგანო გადაჭრის სამართალდამცავ ორგანოთა ყველა ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ პრობლემებს, თუმცა საზედამხედველო ორგანოთა უმრავლესობას არ გააჩნია მსგავსი უფლებამოსილება.

J. გამჭვირვალობა

საზედამხედველო სისტემათა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დადებით მხარეს დახურულ უწყებათა სიღრმისეული შესწავლის შესაძლებლობა წარმოადგენს. ისტორიულად საპოლიციო გადაცდომათა გამოძიება მხოლოდ შიდა უწყებრივ კომპეტენციას განეკუთვნებოდა, პროცესი კი გასაიდუმლოებულად და საზოგადოებისგან ფარულად მიმდინარეობდა. საზედამხედველო მექანიზმების ზრდამ ხელმისაწვდომი გახადა მეტი ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების შესახებ, რადგან ისინი სისტემატიურად აქვეყნებენ ანგარიშებს განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფს საზედამხედველო ორგანოთა გამჭირვალობასა და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. ანგარიშები როგორ წესი მოიცავს მიღებულ საჩივართა ანალიზს და სამართალდამცავ უწყებათა ორგანიზებისა და საქმიანობის შესახებ დაკვირვებებს. ანგარიშგება ზრდის საზოგადოებრივ ნდობას საზედამხედველო ორგანოთა მიმართ, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვა შემთხვევაში გამოძიებათა მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია იქნებოდა საიდუმლო და დაცული გასაჯაროებისგან. მრავალი შტატის პირად მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა კრძალავს პოლიციის ოფიცრების ვინაობისა და საქმეთა კონკრეტული დეტალების გასაჯაროებას, თუმცა მიღებული საჩივრების რაოდენობის, ძირითადი დაკვირვებების, ბრალდების სახეების, გაცემული რეკომენდაციების და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ინფორმირების, ისტორიული კონტექსტის დადგენისა და ტენდენციების გამოვლენის მიმართულებით.[14]

[14] იმ შტატებში, სადაც პოლიციის ოფიცერთა ვინაობის გამხელა არ არის დაცული პერსონალურ მონაცემთა მარეგულირებელი კანონმდებლობით, საზედამხედველო ორგანოები ინტერნეტში აქვეყნებენ ინფორმაციას კონკრეტული საჩივრების შესახებ. მაგალითად, ფილადელფიის პოლიციის საკონსულტაციო კომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები მოიცავს მოსაზრებებსა და საქმესთან დაკავშირებულ კონკრეტულ რეკომენდაციებს. სხვა შტატებში ინფორმაცია ქვეყნდება პერსონალურ მონაცემთა დაშტრიხვის გზით. მაგალითად, ლოს-ანჯელესის პოლიციის კომისიონერთა საბჭო აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას დისციპლინური სანქციებისა და სამაგალითო საქმეების შესახებ. სიეტლის პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისი რეგულარულად აქვეყნებს ყველა დასრულებული საქმის შეჯამებას, ძირითადი მიგნებების, გადამზადების რეკომენდაციების, დისციპლინური სანქციებისა და პოლიტიკის დოკუმენტებთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ.

საზედამხედველო ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემდეგ შეკითხვათა დასმა: (1) აქვთ თუ არა ოფიცრებს/მოქალაქეებს კონფიდენციალურობის მოლოდინები და თუ კი, რა უნდა გააკეთოს საზედამხედველო ორგანომ პირად მონაცემთა დასაცავად? (2) ვინ უნდა განიხილოს ინფორმაციის გასაჯაროების თუ გაცემის შესახებ მოთხოვნები, თავად საზედამხედველო ორგანომ თუ სახელმწიფო დაწესებულებამ, მაგალითად პოლიციის შესაბამისმა დეპარტამენტმა ან შტატის დონეზე არსებულმა შესაბამისმა უწყებამ? (3) რა პერიოდულობით და რა ფორმატში მომზადდება ანგარიშები და როგორ იქნება უზრუნველყოფილი მათზე ხელმისაწვდომობა, ვებგვერდზე გამოქვეყნების თუ ფიზიკური ასლების გაცემის გზით? და (4) უნდა გამოიყენონ თუ არა საზედამხედველო ორგანოებმა სოციალური მედია მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და გავრცელებისთვის?

IV. საზედამხედველო ორგანოთა დაფუძნებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

A. დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მეთოდები გადაცდომასთან დაკავშირებულ საჩივრებზე

საპოლიციო გადაცდომებთან დაკავშირებულ საჩივართა განხილვის მიზნით სულ უფრო მეტი საზედამხედველო ორგანოები იყენებ მედიაციასა და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიულ საშუალებებს. მედიაციას დაქვემდებარებულ საკითხებზე საზედამხედველო ორგანოთა მიდგომა განსხვავებულია, თუმცა უდავოა, რომ საჩივართა განხილვის ტრადიციულ მეთოდები შესაძლებელია არ იყოს საკმარისად ეფექტური, რადგან ხშირად საჩივრის საფუძვლიანობის მტკიცება გართულებულია, ან ბრალდება დაფუძნებულია მოვლენათა არასწორ აღქმასა თუ მომჩივანსა და პოლიციის ოფიცერს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაზე. მედიაცია იძლევა მხარეთა შეხვედრისა და საქმის შესახებ მოწინააღმდეგე მხარის პერსპექტივის აღქმის შესაძლებლობას. წარმატებული მედიაციის შემთხვევაში, მომჩივანსა და პოლიციის ოფიცერს ექმნებათ სრული წარმოდგენა მოწინააღმდეგე მხარის ქცევის მოტივების შესახებ. ეს კი თავის მხრივ, დისციპლინური საქმის წარმოებისგან განასხვავებდით, იძლევა ქცევის გააზრებულად შეცვლის ბევრად უფრო ეფექტურ შესაძლებლობას და ხელს უწყობს პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენას ინდივიდუალურ დონეზე.

საზედამხედველო ორგანოთა უმრავლესობის შემთხვევაში მედიაცია მხოლოდ მხარეთა თანხმობით ხორციელდება, თუმცა ლიმიტირებულ შემთხვევებში მედიაცია სავალდებულოა და საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელს შეუძლია მოთხოვოს მომჩივანსა და პოლიციის ოფიცერს შეხვედრა და ინციდენტის განხილვა. მიუხედავად მედიაციის ნებაყოფლობითი თუ სავალდებულო ხასიათისა, უმრავლეს შემთხვევაში მისი მხარეები მედიაციის გამოცდილებას განსაკუთრებით დადებითად აფასებენ.

დროთა განმავლობაში ვითარდება ასევე საპოლიციო გადაცდომებთან დაკავშირებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი საშუალებები, მათ შორის აღდგენითი მართლმსაჯულება და აღდგენითი წრეები. აღნიშნული მიდგომა შესაძლებელია განსაკუთრებით გამოსადეგი იყოს, როდესაც საკითხი ეხება პოლიციასა და საზოგადოებას შორის არსებულ შედარებით ფართო პრობლემებს და სტრუქტურირებული ჯგუფური სავარჯიშო შესაძლებელია განსაკუთრებით გამოსადეგი იყოს ყველა მხარის ჩართვისა და ერთმანეთის მოსაზრებების გასაცნობად.

B. თანამდებობის დაკავების ვადა და როტაცია

საზედამხედველო ორგანოთა დაფუძნების მარეგულირებელი კანონმდებლობა ხშირად მოიცავს ხელძღვანელების, აუდიტორების, მონიტორების, საბჭოსა და კომისიის წევრებისთვის დადგენილ თანამდებობათა დაკავების მაქსიმალურ დასშვებ ვადებს. აღნიშნული მიზნად ისახავს, თავიდან აირიდოს შესაბამის პირთა მხრიდან კონკრეტული ხედვის თუ პერსპექტივისადმი მიჯაჭვულობის და საზედამხედველო როლის შესრულების მიმართ გადამეტებული თავდაჯერებულობის ჩამოყალიბება. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ მსგავს პოზიციებს ხშირად იკავებენ პოლიტიკური თანამდებობის პირები, ვადის დაწესება უზრუნველყოფს ყოველი მომდევნო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით კადრების შეცვლას ახლადარჩეული კანდიდატებით.

მნივშენლოვანია ასევე გათვალისწინებულ იქნეს პერსონალის რეგულარული როტაციის საკითხი. მაგალითად თუ საზედამხედველო ორგანო და მისი წევრები ახორციელებენ საგამოძიებო მოქმედებებს და ამ მიზნით რეგულარულად ხდება მათი მივლინება სამართალდამცავ ორგანოებში, მათ შესაძლოა ჩამოუყალიბდეთ კავშირები და ფავორიტიზმი სამართალდამცავ ორგანოთა კონკრეტული მოხელეების მიმართ, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საზედამხედველო საქმიანობის ზედმიწევნით შესრულებაზე. რეგულარული როტაცია, ხელს უწყობს მსგავს საშიშროებათა თავიდან აცილებას და უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

C. მედიისა და ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება

საზედამხედველო პრაქტიკას შეერთებულ შტატებში ყოველთვის ხელს უწყობდა დიდი ქალაქების უმრავლესობაში არსებული ძლიერი საგამოძიებო ჟურნალისტიკა ბეჭდურ და სატელევიზიო მედიაში. გაზეთების პირველ გვერდებზე თუ სატელევიზიო გადაცემებში საპოლიციო გადაცდომის შესახებ გაჟღერებული ინფორმაცია ხელს უწყობდა საზოგადოებრივი ინტერესის ჩამოყალიბებას საზედამხედველო მექანიზმთა შექმნისა და მხარდაჭერის მიმართ. დღეს დღეისობით ბეჭდური მედიის გამოცემები იკლებს და ნაცვლად ამისა იმატებს ონლაინ გამოცემების გავლენა. ახალი ამბები ვრცელდება Twitter-ის, პირადი მესიჯების, ბლოგებისა და სხვა ციფრული საშუალებებით. საზედამხედველო ორგანოები, სულ უფრო მეტად იყენებენ Twitter-ს მოწმეთა მოსაძიებლად და ქმნიან Facebook გვერდებს რათა მიაწოდონ ამომრჩევლებს ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა დრამატულად შეცვალა საპოლიციო გარემო. მობილური ტელეფონის კამერით გადაღებული პოლიციელთა მიერ ძალის გადამეტებისა და სროლის ვიდეოები ქვეყნდება და ვრცელდება მსოფლიო მასშტაბით. პოლიციის მრავალი დეპარტამენტი კამერებს ათავსებს პოლიციის ავტომობილებსა და მათ უნიფორმაზე. სათვალთვალო კამერები განთავსებულია მრავალ ვიტრინასა და გზაჯვარედინზე. შესაბამისად ხელმისაწვდომია მეტი რეალურ დროში განახლებადი ინფორმაცია ინციდენტების შესახებ. საზედამხედველო ორგანოები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობების შესახებ, რათა უზრუნველყონ სიღრმისეული გამოძიების ჩატარება და გამოიყენონ საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური საშუალებები.

D. საზედამხედველო ორგანოთა გავლენის შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავ ორგანოთა საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმებს შეერთებულ შტატებში 50 წელზე ხანგრძლივი ისტორია აქვს, მწირია მოცემულ საკითხთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ემპირიული მასალები, რომლებიც შეაფასებდნენ სხვადასხვა საზედამხედველო სისტემათა საქმიანობას. სხვა რეკომენდაციებს შორის, ფედრიკი, როჯეკი და ალპერტი ხაზს უსვამენ საზედამხედველო სისტემათა აღქმის შესწავლის აუცილებლობას, მოსარჩელეთა და პოლიციის ოფიცერთა პერსპექტივიდან.[15] სხვები ყურადღებას ამახვილებენ საპოლიციო სისტემებზე საზედამხედველო ორგანოთა დადებითი გავლენის შესწავლის აუცილებლობაზე. კვლევის მეთოდისა თუ თემის მიუხედავად საზედამხედველო ორგანოებს სრულად უნდა ჰქონდეთ გააზრებული შეფასების სიტემათა გამოყენების მნიშვნელობა. ისინი მუდმივად უნდა იძიებდნენ აკადემიურ დაწესებულებებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს შესაბამის კვლევათა ჩატარების მიზნით.

V. საზედამხედველო ასოციაციათა მნიშვნელობა და უპირატესობები

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საზედამხედველო ორგანოთა მხარდასაჭერად შექმნილია რეგიონული ასოციაციები.[16] ასოციაციები წარმოადგენენ გადამზადებისა და პროფესიული სტანდარტების განვითარების წყაროს და დაინტერესებულ პირებს აწვდიან ინფორმაციას საზედამხედველო ორგანოთა თუ სამართალდამცავ უწყებათა საქმიანობასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ.

შეერთებულ შტატებში შექმნილი სამართალდამცავი ორგანოების საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეროვნული ასოციაცია (NACOLE) წარმოადგენს საზოგადოებრივი ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაციის (IACOLE) განშტოებას. NACOLE-ს საერთაშორისო საწყისებიდან გამომდინარე მის ხელმძღვანელობას სრულად აქვს გააზრებული საერთაშორისო დიალოგის მნიშვნელობა, რაც უზრუნველყოფს მეტად სიღრმისეული საგანმანათლებლო საქმიანობის და ზედამხედველობის პრაქტიკების დანერგვას. ამ მიზნით NACOLE ტრადიციულად უკავშირდება საზედამხედველო საქმიანობაში ჩართულ პრაქტიკოსებს საერთაშორისო მასშტაბით და რთავს მათ NACOLE-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და სხვა პროექტებში.

კონფერენციებისა და შეხვედრების ორგანიზების გზით NACOLE აერთიანებს და ერთმანეთთან აკავშირებს ფართო საზოგადოებას, მთავრობისა და პოლიციის წარმომადგენლებს, თემის ლიდერებს, საერთაშორისო პრაქტიკოსებსა და აკადემიკოსებს. NACOLE-ს ყოველწლიური პროფესიული განვითარების კონფერენციები დაინტრესებულ პირებს სთავაზობს გადამზადების, სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის შესაძლებლობებს, ორგანიზებას უწევს პანელურ დისკუსიებსა და სამუშაო შეხვედრებს და მოიცავს საერთაშორისო ექსპერტთა პრეზენტაციებს, რომლებიც მიმოიხილავენ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებსა და საზედამხედველო ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ასპექტებს. კონფერენციები იძლება დიალოგისა და ახალი კავშირების დამყარების შესაძლებლობას და

[15] იხ. სქოლიო 5, supra, at 113-114.

[16] NACOLE-ს ვებგვერდი მოიცავს კანადის, ევროპისა და აფრიკის ასოციაციათა ვებგვერდების მისამართებს. http://nacole.org/resources/accountability-organizations

აწვდის პრაქტიკოსებს ინფორმაციას მათი საქმიანობის ახალი იდეებითა და მიდგომებით წარმართვის შესახებ.[17]

NACOLE-ს არ გააჩნია ოფიციალური ოფისები; მისი დირექტორთა საბჭოს წევრები, რომლებიც წარმოადგენენ საზედამხედველო ორგანოებს შეერთებული შტატების მასშტაბით, ძირითადად იკრიბებიან ტელე კონფერენციების საშუალებით და განიხილავენ ორგანიზაციის მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს - საზედამხედველო საქმიანობის განმახორციელებლ პრაქტიკოსთა მხარდაჭერა და სამართლიანი საპოლიციო პრაქტიკისა და ანგარიშვალდებულების განვითარება. NACOLE-ს ვებგვერდი მოიცავს დოკუმენტებსა და ინტერნეტ რესურსების მისამართებს პრაქტიკოსებისა და მკვლევარებისთვის. Yahoo-ს ბაზაზე შექმნილი ელ. ფოსტის მისამართთა ჯგუფი, ყოველდღიურად აწვდის ჯგუფის წევრებს ინფორმაციას საზედამხედველო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: www.nacole.org.

VI. დასკვნა

საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები მუდმივად ვითარდება როგორც შეერთებულ შტატებში, ისე მსოფლიოს მასშტაბით. ის აღარ აღიქმება რადიკალურ ზომად და დღესდღეობით წარმოადგენს აღიარებულ პროფესიასა და კარგი მმართველობის განუყოფელ ნაწილს. სამართალდამცავი ორგანოები შეერთებულ შტატებში სულ უფრო უკეთ აცნობიერებენ, რომ საზედამხედველო ორგანოები ხელს უწყობენ უწყებებში არსებული კეთილსინდისიერების სტანდარტების ამაღლებას და ზრდიან გადაცდომათა შესახებ შიდა საგამოძიებო მექანიზმების ეფექტურობას. საზედამხედველო ორგანოთა საქმიანობა პოზიტიურ გავლენას ახდენს სამართალდამცავ დაწესებულებებზე, რადგან გარე კონტროლის გარეშე უწყებებს გაუჭირდებოდათ პრობლემათა გამოვლენა და შესაბამის რეფორმათა გატარება. ზედამხედველობის მექანიზმები ასევე უზრუნველყოფენ საზოგადოებასა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ნდობისა და პატივისცემის ჩამოყალიბებას. მეტად ეფექტური საზოგადოებრივი უსაფრთხოების პროგრამები საბოლოო ჯამში დადებით გავლენას ახდენს ყველა დაინტერესებულ მხარესა და ჩართულ პირზე.

საზედამხედველო ორგანოთა შექმნა მოლაპარაკებებისა და კომპრომისის შედეგს წარმოადგენს, როდესაც კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის იურისდიქციაში შემავალი მხარეები განიხილავენ მათი საზოგადოებისთვის ყველაზე მისაღებ საზედამხედველო მექანიზმებს. მრავალი საზედამხედველო მოდელი ასახავს ზედამხედველობის დასაფუძნებლად აუცილებელ თანამშრომლობის პროცესსა და სფეროს განვითარებად ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ არცერთი საზედამხედველო ორგანო არ მოიცავს მათი საქმიანობის ზემოთ განხილულ ყველა შესაძლო ასპექტს, თითოეული მათგანი იძლევა გამჭვირვალობის, გაზრდილი ანგარიშვალდებულებისა და საპოლიციო საქმიანობაში ფართო საზოგადოების ჩართვის შესაძლებლობას. საზედამხედველო დარგის განვითარებასა და დახვეწასთან ერთად, სულ უფრო მეტად გაიზრდება შესაბამის ორგანოთა მიმართ რეალური, დადებითი ცვლილებების მოტანის მოლოდინი იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის კონსტიტუციურობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება.

[17] NACOLE-ს მე-19 ყოველწლიური კონფერენციის ჩატარება დაგეგმილია 2013 წლის 22-26 სექტემბერს, იუტა, სოლთ-ლეიქ სითი.

დანართი

საზედამხედველო მოდელების მაგალითები შეერთებულ შტატებში

შეერთებულ შტატებში მოქმედი 100-ზე მეტი საზედამხედველო ორგანოს არსებობის პირობებში, ძალზედ რთულია ისეთების შერჩევა, რომლებიც ასახავენ დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ყველა მოდელთა მრავალფეროვნებას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საზედამხედველო ორგანოთა უმრავლესობა წარმოადგენს ისეთ მოდელთა ჰიბრიდს, როგორებიცაა საგამოძიებო, აუდიტის/მონიტორინგის, საკომისიო და საბჭოს მოდელები. ქვემოთ მოცემულია შეერთებულ შტატებში მოქმედი მხოლოდ რამდენიმე საზედამხედველო ორგანოთა მოდელები, რომლებიც წარმოაჩენენ ზედამხედველობის პრაქტიკაში არსებულ განსხვავებულ მიდგომებს.

A. <u>საგამოძიებო მოდელის მქონე საზედამხედველო ორგანოთა მაგალითები</u>

(1) კოლუმბიის რაიონის საპოლიციო საჩივართა ოფისი (Office of Police Complaints - OPC)

- დაფუძნდა 1999 წელს კოლუმბიის რაიონის საბჭოს დადგენილების საფუძველზე და საზოგადოებისთვის გაიხსნა 2001 წელს.

- მმართველ ორგანოს წარმოადგენს საპოლიციო საჩივართა საბჭო (Police Complaints Board - PCB), რომელიც შედგება მერის მიერ დანიშნული 5 წევრისგან; მათ შორის ერთი უნდა წარმოადგენდეს მეტროპოლიტენის პოლიციის დეპარტამენტს (Metropolitan Police Department – MPD), 4 წევრს კი არ უნდა გააჩნდეს რაიმე კავშირი სამართალდამცავ ორგანოებთან.

- საბჭო გამოსცემს დეტალურ საპოლიციო სტატისტიკურ ანგარიშებს, რომლებიც მიმოიხილავენ საჩივრებთან დაკავშირებულ ძირითად ასპექტებს და პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციებს.

OPC-ის უფლებამოსილება:

- საბჭო საქმიანობს კოლუმბიის რაიონის პოლიციის დეპარტამენტებისგან დამოუკიდებლად და იხილავს პოლიციის ოფიცერთა წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებს.

- გააჩნია უფლებამოსილება განიხილოს საჩივრები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა შევიწროება, შეუსაბამო ენა ან ქცევა, გადამეტებული ძალის გამოყენება, დისკრიმინაცია და ოფიცერთა მიერ თვითიდენტიფიკაციის ვალდებულების

შეუსრულებლობა.

- თუკი საბჭო ალბათობის მაღალი ხარისხით დაადგენს, რომ ადგილი ქონდა საპოლიციო გადაცდომას, საქმე გადამისამართება საპოლიციო საჩივართა ოფისში, რომელიც არსებული გამოძიების მასალების ან დამატებითი მოსმენის საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. პოლიციის ოფიცრებს ეკისრებათ გამოძიების პროცესში სრული თანამშრომლობის ვალდებულება, მისი დარღვევის შემთხვევაში კი საპოლიციო საჩივართა ოფისი გამოსცემს შესაბამის დისციპლინურ სანქციებს.

- იძლევა რეკომენდაციებს პოლიციის დეპარტამენტთა პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

OPC-ის სხვა ფუნქციები:

- გააჩნია მედიაციის პროგრამა, რომელში ჩართვის ვალდებულებაც გააჩნიათ მომჩივანსა და პოლიციის ოფიცერს, იმ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ საკითხი ექვემდებარება მედიაციას.

- საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს ონლაინ, სოციალური მედიის საშუალებით და თემთან პირდაპირი შეხვედრების გზით.

http://policecomplaints.dc.gov

(2) ქალაქ ჩიკაგოს დამოუკიდებელი საპოლიციო ზედამხედველობის სააგენტო (Independent Police Review Authority - IPRA)

- დაფუძნდა 2007 წელს, ქალაქ ჩიკაგოს საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

- საბჭო გამოსცემს დეტალურ სტატისტიკურ ანგარიშებს, რომლებიც მიმოიხილავენ საჩივრებთან დაკავშირებულ ძირითად ასპექტებს და პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციებს.

IPRA-ს უფლებამოსილება:

- ქალაქ ჩიკაგოს დამოუკიდებელი სააგენტო.

- გააჩნია პირდაპირი წვდომა ჩიკაგოს პოლიციის დეპარტამენტის დოკუმენტაციასთან (Chicago Police Department - CPD).

- აქვს უფლებამოსილება მიიღოს ჩიკაგოს პოლიციის დეპარტამენტის ოფიცერთა წინააღმდეგ მიმართული საჩივრები, მიუხედავად იმისა მომჩივანს წარმოადგენს ფართო საზოგადოების წევრი თუ პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი.

- იძიებს საჩივრებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა გადამეტებული ძალის გამოყენება, ოჯახში ძალადობა, იძულება ძალადობის გზით და

მიკერძოებულობა. ყველა სხვა ბრალდებები წარედგინება ჩიკაგოს პოლიციის დეპარტამენტის შინაგან საქმეთა დანაყოფს.

- განიხილავს და იძიებს ცეცხლსასროლი იარაღისა და ელექტროშოკის გამოყენებასა და თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებულ ინციდენტებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ პოლიციის ოფიცრები (იმ შემთხვევაშიც კი თუკი ინციდენტთან დაკავშირებით არ არის წარდგენილი საჩივარი).

- ჩიკაგოს პოლიციის დეპარტამენტს აწვდის ინფორმაციას დადგენილი გარემოებების შესახებ, მათი განხილვისა და შესაბამისი ზომების მიღების მიზნით.

- შეიმუშავებს გადამზადებასა და პოლიტიკის დოკუმენტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

IPRA-ს სხვა ფუნქციები:

- გააჩნია მედიაციის პროგრამა, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ პოლიციის ოფიცრები აღიარებენ გადაცდომას, რათა შემსუბუქებულ ან მოხსნილ იქნას მათ წინააღმდეგ გამოსაყენებელი დისციპლინური პასუხისმგებლობა.

- საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს ჩიკაგოს პოლიციის დეპარტამენტში ტრენინგების ჩატარებისა და თემთან კომუნიკაციის საშუალებით.

http://www.iprachicago.org/index.html

(3) სიეტლის პოლიციის დეპარტამენტის პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისი (Office of Professional Accountability - OPA)

- დაფუძნდა 1999 წელს, ქალაქ სიეტლის საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

- საბჭო გამოსცემს ყოველთვიურ და ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშებს, რომლებიც მიმოიხილავენ საჩივრებთან დაკავშირებულ ძირითად ასპექტებს და პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციებს.

OPA-ს უფლებამოსილება:

- მდებარეობს სიეტლის პოლიციის დეპარტამენტში.

- დირექტორი წარმოადგენს სამოქალაქო პირს, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს მერი და მის კანდიდატურას იწონებს ქალაქ სიეტლის საბჭო. დირექტორი ხელმძღვანელობს პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისს და ზედამხედველობს ოფისის თანამშრომელთა მიერ გამოძიების ჩატარების პროცესს.

- გააჩნია პირდაპირი წვდომა სიეტლის პოლიციის დეპარტამენტის დოკუმენტებთან, ვიდეო და აუდიო ჩანაწერებთან და ყველა სხვა ინფორმაციასთან, რომელიც აუცილებლია საჩივართა განხილვისა და გამოძიებისთვის.

- იძიებს სიეტლის პოლიციის დეპარტამენტის ოფიცრების თუ სამოქალაქო პერსონალის წინააღმდეგ წარდგენილ საჩივრებს, რომლებიც შესაძლებელია წარდგენილ იყოს საზოგადოების წევრების თუ თავად პოლიციის თანამშრომლების მიერ.

- პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას გამოძიების შედეგად დადგენილი ძირითადი მიგნებების შესახებ, და აწვდის მას პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს. პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იღებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას, მოცემულ პროცესში კი კონსულტაციებს გადის პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისის დირექტორთან.

- შეუძლია გაამწესოს ინდივიდუალური ოფიცრები ტრენინგის მისაღებად.

- შეიმუშავებს გადამზადებასა და პოლიტიკის დოკუმენტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

OPA-ს სხვა ფუნქციები:

- გააჩნია მედიაციის პროგრამა, რომელიც ძირითადად გამოიყენება იმ შეთხვევებში როდესაც ცხადია, რომ მომჩივანსა და პოლიციის ოფიცერს შორის ადგილი ქონდა კომუნიკაციას ნაკლებობას და მედიაცია შესაძლებლობას მისცემს მხარეებს ერთმანეთის პერსპექტივიდან შეაფასონ ინციდენტი.

- საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს სოციალური მედიის, სიეტლის პოლიციის დეპარტამენტში ტრენინგების ჩატარებისა და თემთან კომუნიკაციის საშუალებით.

- პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისთან ერთად, სიეტლში შექმნილია პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისის აუდიტისა და საზედამხედველო საბჭოს ოფისები. პროფესიული ანგარიშვალდებულების ოფისის დირექტორთან ერთად, აუდიტორი ჩართულია საჩივართა განხილვისა და გამოძიების ჩატარების პროცესში იმისთვის, რომ უზრუნველყოს პროცესის მაღალი ხარისხით ჩატარება. ის ასევე გასცემს რეკომენდაციებს გადამზადებისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესახებ. საზედამხედველო საბჭოს შეუძლია გაეცნოს დასრულებულ საქმეებს იმისთვის, რომ შეისწავლოს საჩივართა ძირითადი მიმართულებები და შეიმუშავოს რეკომენდაციები. მას ასევე გააჩნია წამყვანი როლი თემთან ურთიერთობის მიმართულებით.

http://www.seattle.gov/police/opa/default.htm

B. <u>აუდიტის/მონიტორინგის მოდელის მქონე საზედამხედველო ორგანოთა მაგალითები</u>

(1) დენვერის პოლიციის დამოუკიდებელი მონიტორი (Independent Police Monitor - OIM)

- დაფუძნდა ქალაქ დენვერის საბჭოს დადგენილების საფუძველზე და ფუნქციონირება დაიწყო 2005 წლიდან.

- გააჩნია სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს (Citizen Oversight Board - COB) კომპონენტი, რომელიც შედგება მერის მიერ დანიშნული და ქალაქის საბჭოს მიერ მოწონებული ადგილობრივი მოსახლეობის 7 წარმომადგენლებისგან. სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო აფასებს მონიტორინგის ოფისის საქმიანობის ეფექტურობას, გასცემს რეკომენდაციებს პოლიციას, შერიფის ოფისსა და სახანძრო დეპარტამენტთან დაკავშირებულ პოლიტიკის დოკუმენტებზე, ისევე როგორც შინაგან საქმეთა დეპარტამენტთა მიერ არაეფექტურად გამოძიებულ და დახურულ საქმეებზე.

- გამოსცემს დეტალურ ანგარიშებს საჩივართა ძირითადი მახასიათებლების, მიგნებებისა და დისციპლინური ზომების შესახებ.

OIM-ის უფლებამოსილება:

- მიზნად ისახავს უზრუნველყოს დენვერის პოლიციის საქმიანობისა და შერიფის მიერ დისციპლინურ საქმეთა განხილვის პროცესში, ანგარიშვალდებულების, ეფექტურობის და გამჭირვალობის პრინციპების დაცვა.

- ახორციელებს საზოგადოებრივ, შიდა თუ კრიტიკულ საჩივრებზე დაწყებული გამოძიების პროცესის მონიტორინგს.

- შეუძლია მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება, თუკი მონიტორი დაადგენს, რომ შიდა გამოძიება არ იყოს ამომწურავი და წარუმატებლობის შემთხვევაში თავად ჩაატაროს გამოძიება.

- გამოსცემს რეკომენდაციებს ძირითადი მიგნებებისა და დისციპლინური ზომების შესახებ.

- შეიმუშავებს პოლიტიკის დოკუმენტებსა და ტრენინგ სისტემებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

- სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს აქვს უფლებამოსილება საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის შეფასების თუ წლიური ანგარიშების მომზადების მიზნით დაიქირაოს დამოუკიდებელი ექსპერტები.

OIM-ის სხვა ფუნქციები:

- უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობას დენვერის მაცხოვრებლებსა და დისციპლინურ პროცედურებში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის გზით.

- ხელს უწყობს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული და ინოვაციური მიდგომების, მათ შორის მედიაციის განვითარებას.

www.denvergov.org/oim

(2) ახალი ორელანის პოლიციის დამოუკიდებელი მონიტორის ოფისი (Office of the Independent Police Monitor - OIPM)

- დაფუძნდა 2009 წელს. მართალია პოლიციის სამოქალაქო ზედამხედველობის ჯგუფმა (Police Civilian Review Task Force) აღნიშნული ოფისის შექმნაზე რეკომენდაცია 2002 წელს გასცა, თუმცა აღნიშნულ ინიციატივას ქალაქის საბჭომ მხარი მხოლოდ 2008 წელს, შესაბამისი დადგენილების გამოცემით დაუჭირა. ამავე წელს ახალი ორელანის მოსახლეობის 70%-მა ხმა მისცა დამოუკიდებელი მონიტორისა და გენერალური ინსპექტორის ოფისების შექნის ინიციატივებს.

- გამოსცემს ყოველწლიურ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავენ დეტალურ ინფორმაციას ჩატარებული გამოძიებების, მიღებული საჩივრებისა და დისციპლინური ზომების შესახებ, პოლიციის ოფიცერთა ვინაობების მითითებით.

OIPM-ის უფლებამოსილება:

- იღებს გადაცდომის შესახებ საჩივრებს საქმეებზე, რომლებიც გამოძიების მიზნებისთვის წარდგენილია ახალი ორელანის პოლიციის დეპარტამენტში (New Orleans Police Department - NOPD) ან პოლიციის დეპარტამენტის საჯარო კეთილსინდისიერების ბიუროში (Public Integrity Bureau - PIB). დამოუკიდებელი მონიტორის ოფისის მიერ მომზადებული მიმართვა მოიცავს შესაბამისი ოფიცრის ბოლო 5 წლის დისციპლინურ ისტორიას და რეკომენდაციას იმის შესახებ უნდა გაიროს თუ არა პოლიციის ოფიცერმა პროფესიული გადამზადების პროგრამა.

- იხილავს საჩივრის კლასიფიკაციას და შეუძლია რეკომენდაციის მომზადება მისი შეცვლის შესახებ. სწავლობს საჯარო კეთილსინდისიერების ბიუროს (Public Integrity Bureau - PIB) მიერ ჩატარებული გამოძიების პროცესს, მისი სამართლიანობის, სიღრმისეულობის და დროულობის შესაფასებლად. თუკი დაადგენს, რომ გამოძიება არ ჩატარდა შესაბამისი სტანდარტების დაცვით, შესაბამის შეტყობინებას უგზავნის ახალი ორელანის პოლიციის დეპარტამენტს. მოსარჩელეებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათ საჩივართან დაკავშირებით მიღებული ზომებისა და მომზადებული რეკომენდაციების შესახებ.

- იხილავს დისციპლინურ ზომათა ქმედებასთან შესაბამისობას.

- მონიტორინგს უწევს ახალი ორლეანის პოლიციის დეპარტამენტის ადრეული გაფრთხილების მექანიზმს იმისთვის, რომ მოახდინოს პრობლემატურ ოფიცერთა იდენტიფიცირება, გაანალიზოს საჩივართა სტატისტიკა და გამოვლინოს პოლიციური

ქცევის ძირითადი მიმართულებები.

- გააჩნია წვდომა ახალი ორელანის პოლიციის დეპარატმენტის მონაცემთა ბაზასთან, რომელიც მოიცავს ინფორმაციას შიდა და გარე გასაჩივრების პროცედურებისა და შემთხვევების შესახებ.

- პოლიციელთა კეთილსინდისიერებისა და ახალი ორლეანის პოლიციის დეპარტამენტის ეფექტურობის გასაზრდელად, ამზადებს რეკომენდაციებს პოლიტიკის დოკუმენტების, სტრატეგიებისა და გადამზადების პროგრამების გაუმჯობესების შესახებ.

- მონიტორინგს უწევს კრიტიკულ ინციდენტებს, რომლებიც მოიცავენ გადამეტებული ძალის გამოყენების, მათ შორის სიცოცხლისთვის საშიში ძალის გამოყენების შემთხვევებს და მათთან დაკავშირებულ საჩივართა განხილვის პროცედურებს.

OIPM-ის სხვა ფუნქციები:

- Facebook-სა და Twitter-ის საშუალებით ახორციელებს აქტიურ კომუნიკაციას ფართო საზოგადოებასა და დაინტრესებულ პირებთან.

http://www.nolaipm.org/main/index.php?page=home

(3) სან-ხოსეს პოლიციის დამოუკიდებელი აუდიტი (Independent Police Auditor - IPA)

- დაფუძნებულ იქნა ქალაქ სან-ხოსეს საბჭოს 1993 წლის დადგენილებით და წარმოადგენდა ლოს-ანჯელესში (კალიფორნია) მომხდარ ე.წ. Rodney King-ის ინციდენტზე საპასუხო პროაქტიულ ზომას.

- ყოველწლიურ გამოსცემს დეტალურ სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც აფასებს ძირითად ტენდენციებსა და წარდგენილ საჩივრებს, მოიცავს რეკომენდაციებს და აღწერს წლის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერობის მიმართლდებით განხორცილებულ აქტივობებს.

IPA-ს უფლებამოსილება:

- აუდიტის ოფისი წარმოადგენს საპოლიციო გადაცდომების შესახებ საჩივრების პოლიციის დეპარტამენტში წარდგენის ალტერნატივას. ინფორმაცია საჩივრების შესახებ, რომლებიც წარედგინება როგორც აუდიტის ოფისს ისე პოლიციის დეპარტამენტს იტვირთება ორივე უწყებისთვის ხელმისაწვდომ საერთო მონაცემთა ბაზაში.

- აქვს უფლება დაკითხოს საჩივრის ავტორები და მოწმეები და დაესწროს პოლიციის შინაგან საქმეთა უწყების მიერ ოფიცერთა დაკითხვის პროცედურებს.

- განიხილავს შიდა უწყებრივი გამოძიების პროცედურებს და შეუძლია მოითხოვოს დამატებითი გამოძიების ჩატარება, ან მისი შესწავლა და შეფასება. შეუთანხმებლობის

შეთხვევები აისახება ყოველწლიურ ანგარიშებში.

- ამზადებს რეკომენდაციებს პოლიციის დეპარტამენტის პოლიტიკის დოკუმენტთა გაუმჯობესების მიზნით.

- აფასებს ოფიცერთა მიერ ცეცხსასროლი იარაღების გამოყენების და დაკავებულ პირთა დაწესებულებაში გარდაცვალების შემთხვევებს. შეუძლია დაესწროს ინცინდენტთა შესწავლის მიზნით გამართულ მაღალი დონის შეხვედრებს.

IPA-ს სხვა ფუნქციები:

- ოფისს გააჩნია საზოგადოებასთან ურთიერთობის ძლიერი კომპონენტი, რომელიც მოიცავს თემის წევრებთან შეხვედრებს, რეგულარულ მონაწილეობას სატელევიზიო გადაცემებში და ახალგაზრდებთან ურთიერთობას. აუდიტის ოფისი გამოსცემს სტუდენტებისთვის განკუთვნილ მრავალენოვან გაიდლაინებს საპოლიციო პრაქტიკების შესახებ.

- ხელს უწყობს მედიაციის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენებას.

http://www.sanjoseca.gov/index.aspx?nid=200

C. <u>საბჭოსა და კომისიის მოდელის მქონე საზედამხედველო ორგანოთა მაგალითები</u>

(1) ბარკლის პოლიციის სარევიზიო კომისია (Police Review Commission - PRC)

- დაფუძნებულ იქნა 1972 წელს ქალაქ ბარკლის ამომრჩეველთა მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენდა კალიფორნიის უნივერსიტეტის სიტყვის თავისუფლების მოძრაობის წევრთა დემონსტრაციის დარბევისა და შავი პანტერის მოძრაობასთან დაკავშირებული დაკავების ფაქტების საპასუხო ზომას.

- წარმოადგენს ბარკლის მაცხოვრებელთაგან შემდგარ ცხრა წევრიან კომისიას, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს მერი და ქალაქის საბჭო.

- გამოსცემს ყოველწლიურ ანგარიშებს წარდგენილ საჩივრებსა და პოლიტიკის დოკუმენტებზე მიღებული რეკომენდაციების შესახებ.

PRC-ის უფლებამოსილება:

- სამოქალაქო პერსონალი იღებს და იძიებს საჩივრებს, რომლის შედეგებსაც წარუდგენს სარევიზიო კომისიის ქვეკომიტეტს. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო გამოძიების პროცესში გამართული კომისიის სხდომები იმართება დახურულ კარს მიღმა.

- პოლიციის სარევიზიო კომისიის გამოძიების შედეგებს პოლიციის და ქალაქის ხელმძღვანელებისთვის სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ.

- შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოლიციის დეპარტამენტის პოლიტიკის დოკუმენტთა გაუმჯობესების მიზნით.

PRC-ის სხვა ფუნქციები:

- კომისიისა და ქვეკომიტეტის შეხვედრები ღიაა საზოგადოებისთვის.

- ხელს უწყობს მედიაციის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენებას.

http://www.ci.berkeley.ca.us/DepartmentHome.aspx?id=10184

(2) ნიუ ჰევენის სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო (Civilian Review Board - CRB)

- დაფუძნდა 2001 წელს მერის აღმასრულებელი დადგენილების საფუძველზე.

- შედგება 16 წევრისგან: 2 წევრს თანამდებობაზე ნიშნავს ნიუ ჰევენის მერი. 1-ს უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე, 1-ს პოლიციის კომისიონერთა თავმჯდომარე, თითო წევრი კი წარმოადგენს ქალაქის 12 ოლქს.

- წევრები არ იღებენ ანაზღაურებას შესრულებული საქმიანობისთვის.

- სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭო ადმინისტრაციულ და საორგანიზაციო საქმიანობას ახორციელებს მთავარი ადმინისტრატორის ოფისის დახმარებით. საბჭოს სამართლებრივ დახმარებს უწევს კორპორაციული დახმარების ოფისი.

- შესაბამისი კანონმდებლობისა და საბჭოს შიდა აქტების თანახმად, წევრები ვალდებულნი არიან გაიარონ გადამზადების სიღრმისეული პროგრამა.

CRB-ის უფლებამოსილება:

- იხილავს ნიუ ჰევენის პოლიციის დეპარტამენტში მოქალაქეთა მიერ შეტანილ ყველა საჩივარს, მათ შორის იმ საჩივრებს, რომლებზეც პოლიციის შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა ჩაატარა შესაბამისი გამოძიება.

- შეუძლია გასცეს რეკომენდაცია დამატებითი გამოძიების ჩატარების შესახებ, აცნობოს პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რომ გამოძიების პროცესი წარიმართა მიკერძოებულად ან არასრულად და გასცეს რეკომენდაცია გამოსაყენებელი დისციპლინური ზომების შესახებ.

- აქვს უფლებამოსილება შემთხვევითი ან შერჩევითი წესით შეისწავლოს პოლიციის შინაგან საქმეთა სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები და ნებისმიერი ინციდენტი, რომელიც დაკავშირებულია პოლიციის ქმედების შედეგად დამდგარ გარდაცვალების შემთხვევებთან.

CRB-ის სხვა ფუნქციები:

- წევრები საზოგადოებასა და პრესასთან ურთიერთობას ახორციელებენ თავმჯდომარის მეშვეობით.

http://cityofnewhaven.com/CivilianReviewBoard/

(3) ფილადელფიის პოლიციის საკონსულტაციო კომისია (Police Advisory Commission - PAC)

- დაფუძნდა 1994 წელს მერის აღმასრულებელი დადგენილების საფუძველზე.

- შედგება მერის მიერ დანიშნული 14 მოხალისისგან.

- ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშებს, რომელიც აღწერს საჩივართა განხილვის პროცედურებსა და კომისიის საქმიანობას.

PAC-ის უფლებამოსილება:

- იძიებს საპოლიციო გადაცდომებთან დაკავშირებულ მოქალაქეთა მიერ წარდგენილ საჩივრებს და ამზადებს ანგარიშებს, რომლებიც საჯაროდ განიხილება კომისიის ქვეკომიტეტის სხდომაზე.

- კომისიის მიერ გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მათი განხილვისა და რეაგირების მიზნით წარედგინება მერს, ქალაქის აღმასრულებელ დირექტორს და პოლიციის კომისიონერს.

- შეისწავლის პოლიციის დეპარტამენტის პოლიტიკის დოკუმენტებს, პროცედურებსა და პრაქტიკებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

PAC-ის სხვა ფუნქციები:

- კომისიის შეხვედრები, სხდომები და სათემო შეკრებები ღიაა საზოგადოებისთვის.

- ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობას Twitter-სა და Facebook-ის საშუალებით.

http://www.phila.gov/pac/